ბრძანება:**№40. 402405713**

თარიღი:**26/02/2024**

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივის (მოძრავი ქონების) ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებისათვის" გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე” ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს კანონის “საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი” 52–ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გადაეცეს, ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებას" (ს/კ 239892434) უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული, საერთო ღირებულებით - 9670 (ცხრაათას ექვსას სამოცდაათი) ლარის ძირითადი აქტივი (მოძრავი ქონება), თანდართული დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ძირითადი აქტივის (მოძრავი ქონება) გადაცემის თაობაზე თხოვების ხელშეკრულების მომზადება.

3. ძირითადი აქტივის (მოძრავი ქონება) გადაცემის განხორციელება დაევალოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებას შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

ვახტანგ გადელია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი